



ვებგვერდი

13/02/2014

სარეგისტრაციო კოდი

280070120.35.152.016167

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №3

2014 წლის 7 თებერვალი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 23 იანვრის №1 დადგენილებით
დამტკიცებულ „დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესში“
ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,
დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 23 იანვრის №1 დადგენილებით (სსმ,
30,01/2013. ს/კ 280070120.35.152.016109) დამტკიცებულ დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან
სოციალური დახმარების გაცემის წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 7.

ხანძრით, სტიქიური მოვლენებით უსახლკაროდ დარჩენილი და სხვა მიმე გარემოებათა გამო
დაზარალებული ოჯახების დახმარება

1. ამ მუხლის შესაბამისად დახმარება გაეწევათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრით,
სტიქიური მოვლენებით (მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა, დიდთოვლობა და ა.შ) ასევე სხვა მიმე
გარემოებათა გამო დაზარალებულ ოჯახებს;

2. ხანძრით, სტიქიური მოვლენებით და სხვა მიმე გარემოებათა გამო დაზარალებულ ოჯახებს,
ერთჯერადი დახმარება გაეწევათ 1000 (ერთიათასი) ლარამდე ოდენობით.

3. განსაკუთრებულ შემთხვევებში საკრებულოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია დახმარების
სახით გაიცეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ზღვრულ ოდენობაზე მეტი თანხა“.

4. დაზარალებული ოჯახის წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტში უნდა წარადგინოს:

- ა) განცხადება საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე;
- ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

- გ) ცნობა კომპეტენტური დაწესებულებიდან, ან სტიქიით მიყენებული ზარალის შესაფასებლად მუნიციპალიტეტში შექმნილი კომისიის დასკვნა. (ასეთი კომისიის არსებობის შემთხვევაში).
- დ) საბანკო დაწესებულებაში გახსნილი პირადი ანგარიშის რეკვიზიტები.

მუხლი 2.

ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ცაროსამაგლიშვილი

